




ნახ. ჯ. ლოლუასი

— იღბალი მაქვსო, ამ ინჟინერმა უნდა თქვას, ამდენ ოჯახებს ანგრევს და მადლობის მეტს არაფერს ეუბნებოან. მე ერთი პატარა ოჯახი დავანგრეიე და სამსახურიდან მომხსნეს.





ბინა მივიღე. გამეხარდა-მეთქი რომ ვთქვა, ვფაქრობ, სრულებით ვერ გამოვხატავ იმ გრძნობას, რაც მაშინ განვიცადე. ამ სიხარულის გაგება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც სადაც პატარა, მიკუნჭულ ოთახებში, სახლის გაღერებებში, გასასვლელ ოთახებში (სხვა მაცხოვრებლები რომ შენს ოთახში, როგორც დერეფანში, ისე დადიან) უცხოვრიათ. ჰოდა, მეც ერთი იმთავანი გახლდით და ერთ მშვენიერ დღეს კი დამიძახეს და მითხრეს, ბინა მოგეცითო. სიხარულისაგან კინალამ ენა მუცელში ჩამივარდა. ამაზე დიდი სიხარული მე მგონი არასოდეს არ განმიცდია. ჩემი სიხარული ხომ ჩემი ოჯახის წევრებისათვის უნდა შემეტყუობინებინა და კაბინეტიდან, სადაც ეს საშვილიშვილო საქმე შემატყუობინეს, ისე გამოვევარდი, უნდა გამოვტყდე, მადლობის თქმაც კი დამავიწყდა. ასევე დამავიწყდა, რომ თბილისქალაქში არსებობს და ამ ბოლო დროს კარგადაც მუშაობს (თუმცა გამონაკლისები აქაც არის, მაგ. ლოტიკინის მთის მიმართულებით) ათასი ჯურის ტრანსპორტი. სიხარულისაგან ფრთებშესხმული და მეშვიდე ცაზე მყოფი ფეხით გავეშურე ჩემი სახლისაკენ. სახლი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ წინათ იქ ვცხოვრობდი. სირბილისაგან გულამოვარდნილი, აქოშინებული და გაოფლიანებული ოთახში შევევარდი და დედას, ცოლს, ბავშვებს, ყველას ერთად გკოცნიდი. ძლივს გავაგებინე რაც იყო ჩემი სიხარულის მიზეზი.

სიტყვა გამიგრძელდა. მაგრამ ხანდახან ბინის მიღების მოლოდინიც გრძელდება ხოლმე.

გადავზარდით. ახლმიღებულ ბინაში ყოველი დეფექტის აღმოჩენა გუნებას მიფუჭებდა და ჩემს სიხარულს გარკვეულ ჩრდილს აყენებდა. ჯერ იყო და, ფინურ საკუჭნაოს რომ ეძახიან, ბინაში ის დამახვედრეს, მაგრამ იგი, როგორც შემდეგში გავიგე, ხუთი ნაწილისაგან შედგება. ერთი იმთავითვე აკლდა. ახლა ზოგიერთი იტყვის, სულ არაფერი გქონდა, ბინაში საკუჭნაო დაგახვედრეს, ისიც უფასოდ, და რაღა გალაპარაკებსო. ნათქვამია, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაე-

სინჯებო, მაგრამ როგორ არ მალაპარაკებს, სახელმწიფომ ბინა მომცა, შიგ საკუჭნაო დამახვედრა და ვილაც-ვილაციები რატომ უნდა მართმევდნენ. ვის რად უნდოდა საკუჭნაოს ერთი ნაწილი. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემსავით ახალგაძმოსულებს და სიხარულისაგან დაბნეულებს საკუჭნაოს თითო ნაწილი რომ დააკლო, ამ გზით ხუთი ოჯახისაგან ერთი საკუჭნაო შეიკრიბება და მერე, ალბათ, თავისი გზაც გამოუჩნდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამავე საკუჭნაოს აკლია ტურქლის სარეცხის საცობი, კარების დასაკეტი, ნიკელის სხვადასხვა ნაწილები და ა. შ. კინალამ დამავიწყდა, ბინა მეოთხე სართულზე მომცეს. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ეს ბოლო სართულია და

ნახ. დ. ერისთავისა



— სახლმმართველო, გვიშველი, წყალი ჩამოგვდის სახურავიდან!!!

— ყველაფერი შე როგორ უნდა გასწავლოთ, გაიქეციოთ ახლავე და ტაშტები შეუღვით.



ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ წვიმიან დღეს ამ ახალაშენებულ და წითელი კრამიტით გადახურულ სახლში წყალი თავისუფლად ჩამოდიოდა. ისიც უნდა დავძინო, რომ მართომე არ ჩამომსვლია. მეოთხე სართულზე სხვა მაცხოვრებლებმაც იგემეს წყლის ჩამოსვლის სიმწარე. სიმართლე უნდა ითქვას, ეს მშენებლების ბრალი არაა. ბრალი თავიდან ბოლომდე უხარისხო კრამიტის დამამზადებლებს უნდა დავდოთ.

ეტყობა, როცა დალაგდნენ, დაბლა სართულზე მცხოვრებლებმა დაბანა-დასუფთავება მოინდომეს და სააბაზანოში ღუმელები დაანთეს. ვაი თქვენს მტერს, მე რომ მაშინ დღე დამადგა. ისინი ბანაობდნენ და მე კი კვამლით თვალბამოვსებული ცხარე ცრემლებით ვტიროდი. ეს ამბავი ასე გრძელდება დღესაც და პატრონი არ ჩანს. რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვი, რომ ყოველივე ამის შემხედვარე კარ-ფანჯრები სირცხვილისაგან დაპატარავდნენ, დაიბრუნდნენ და ახლა ქარი, სიცივე, სინათლე, მზის სხივები, დაუბრკოლებლად დანავარდობენ ღიად დარჩენილ ადგილებში.

უთქმელი რომ არ დამრჩეს, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ, სააბაზანოდან წყალს როცა ვუშვებ, ჯერ გუბედ ოთახში დგება, შემდეგ მესამე სართულზე მცხოვრებ ჩემს მეზობელს ჩასდის და ერთმანეთი კინალამ დაკალით. გამოსავალი ისევ მე ვიპოვე—სააბაზანოში წყალს საერთოდ აღარ ვასხამ და მეზობელიც მადლიერი მყავს და ოთახში გუბეც აღარ დგება (მით უმეტეს, რომ წინათ სააბაზანო სრულებითაც არა მქონია და მიჩვეული არა ვარ). ზოგიერთ წვრილმანს კიდევ ვიტყვოდი, მაგრამ ამჯერად, მე მგონი, ესეც კმარა. ახლა იკითხავენ ეს ამბავი სად ხდებო? ვინ არიან მშენებლები? მოგახსენებთ. პავლოვის ქუჩაზე № 11-ში; სახლი აშენებულია მე-3 სამშენებლო სამმართველოს მიერ (უფროსი გოგაძე).

ალბათ თავის მართლებასა და ჩივილს ნაკლოვანების გამოსწორებას არჩევენ!!!



ყველა პროფესია კარგია და სასარგებლო, მაგრამ კრიტიკოსობას არაფერია ჯობია. ამ პროფესიის დაუფლებებისათვის მაინცდამაინც დიდი განათლების მიღება არაა სავალდებულო. ჩემს ქალიშვილს სამედიცინო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, მაგრამ შესანიშნავი კრიტიკოსია. მოვიტან თუ არა ბაზრიდან სურსათს, მაშინვე ამოალაგებს და შემოწმებს შეუდგება, მისი აზრით, ჩემს მოტანილ ამა თუ იმ პროდუქტს ესა თუ ის ვიტამინი აკლია. ზოგს „ც“, ზოგს „ბ“.

რას იზამ, სამართლიანი კრიტიკა გემრიელ ლუკმასავით უნდა ჩაყლაპო. ქალს უსწავლია, ვიტამინებისა და კალორიების მნიშვნელობაში გარკვეულა და, თუ ჩემთან არა, სავაგან სად გამოიჩინოს თავისი ცოდნა? მართალია, მეუღლეს ვიტამინებისა და კალორიების არაფერი ესმის, სამაგიეროდ პოლიტეკონომიის სფეროდან მაყენებს შავდღეს. ხახვში ღირებულებაზე ჩეტი მიმიცია, კაკალი დაბალი ხარისხის მიყიდა, ხორციში ძვალი ჭარბობს, ერბო უყარვისა...

მათ ჩემი ვაჟიც არ ჩამორჩება, სიძუნწეს მწამებს.

— ეს ხილვული თინიკოსა და მის ამხანაგებს არ ეყოფა, — საყვედურობს იგი. — ამ ხორციან ორიოდ ბოთლი ლენინო ხომ უნდა მქონდეს, ამხანაგებს რომ დავალეგინო?

— თქვე ოჯახქორებო, თქვენ თვითონ შეიძინეთ რამდენი და როგორიც გნებავთ და ნახეთ თუ დაეწუნო!

— კარგი, მაშაჩემო, კრიტიკა კი არ უნდა გეწყინოს.

— დიახ, არ უნდა გეწყინოს. — წამოეშველა და. — კრიტიკა უხდება და ზრდის ადამიანს.

— მაშინ საკუთარ თავზე მოსინჯეთ. აბა მიდით და ერთმანეთი აკრიტიკეთ!

— სტუდენტი რაზე უნდა გავაკრიტიკო, ისედაც დაჩაგრულია საწყალი ბიჭი. — ჩაილაპარაკა ჩემმა ქალიშვილმა, შტატგარეშე ექიმმა. — ერთი სტილნი კოსტუმიც ვერ შეუძენია.

— ან თინიკოს რა აქვს გასაკრიტიკებელი?! — გამოექომაგა დას სტუდენტი ძმა. — არც სტიპენდია აქვს, არც სამსახური, ერთსეულ დაბადების დღეც არ გადაუხდია.

— შერე, მაგაშიაც მე ვარ დამნაშავე?! ექიმებს სანთლით დაეძებენ ჩვენში.

— დაეძებენ, დაეძებენ. — ტუჩების აგრებით გამოგოგმანდა ჩემი ქალბატონი. — აბა ერთი მითხარი სად ეძებენ? სადაც სჭირდებათ, იქ გასაგზავნად არ მემეტება ჩემი ბავშვი.

— აბა რაღა ჯანდაბა უნდოდა ინსტიტუტში?

— ის მე ვიცი! — შემომწყრა მეუღლე. — შენთვის რომ დამეჯერებინა. ექიმი კი არა, პარტნიხა ზეყოლებოდა ახლა.

— ნეტავი მართლა.

— იგი დღე არ მოგესწროს შენ! — გაწიწმატდა ჩემი მეუღლე. — საკრავ მაშინას მიუჯერ ჩემს შვილს და ძონძებს ვაჯლანვინებ?! —

იმ საღამოს იმდენი მაკრიტიკეს, რომ ვერც ერთი ცუდი წიგნის ავტორი ვერ მოითმენდა, მაგრამ კაპეჩის მოთმინება გამოვიჩინე.

ეს შინაური კრიტიკოსების შესახებ, მაგრამ მე ხომ გარეული (ველური არ მყავს მხედველობაში) კრიტიკოსებიც მყავს. ეს კრიტიკოსები შინაურებზე თავაზიანი არიან. შეხვედრისას ღიმილით მესალმებიან, ხელს მაგრად მართმევენ. მაგრამ...

— პატივცემულო ზურაბ, ხომ არ გეწყინათ ამას წინათ რომ გაზეთით გაგლანძ... უკაცრავად. გაზეთით რომ გაგაკრიტიკეთ?

— როგორ გეკადრებათ! კიდეც რომ გეწყინოს, როგორ გავებდავ აშკარად თქმას. თუმცა ერთი შეკითხვა მაინც მაქვს თქვენთან.

— შეკითხვა? — ესიამოვნა ჩემს კრიტიკოსს. — გისმენთ?

— ბოლომდე თუ წაიკითხეთ ჩემი წიგნი?

— ამ დღეებში უსათუოდ წავეკითხავ ბოლომდე და ჩემს აზრს მოგახსენებთ... ერთი მიბრძანეთ, რაში არ მეთანხმებით? — უგემურად გამიღიმა და მხარზე ხელი დამკრა.

— როგორ შემიძლია არ დაგეთანხმოთ. — ვუთხარი მე. — თქვენ კი არა, მე ყველა ჯურის კრიტიკოსს ვეთანხმები: ექიმ კრიტიკოსს, სტუდენტ კრიტიკოსს, დიასახლის კრიტიკოსს, დამწყებსა და ნორჩ კრიტიკოსს. თქვენს საკრიტიკებლად გაუფრთხილად განგებას.

ჩემმა კრიტიკოსმა გულიანად გადაიხარხარა.

— მართლა? ნეტავი ყველა თქვენისთანა იყოს, მოგეცათ ლხენა რამდენ წიგნს გავაქიქებდით, რამდენ პლაგიატს აღმოვაჩენდით. მაგრამ გვეშინია, ამიტომ იძულებულნი ვართ, ჩვენ კრიტიკოსები (ხაზი ყველგან მისია) უხეირო ნაწარმოებიც ვაქოთ.

— კი მაგრამ, რაღა ჩემზე დაგვირდათ ასეთი სიმკაცრე?

— თქვენზე? თქვენზე... რედაქციამ დამიკვეთა და... უჰ, როგორ ჩამოცხა. მართლა, იცით რა, კრიტიკას მაინცდამაინც არ უნდა დაუჯეროთ. ჩვენ კრიტიკოსებიც ვცოდავთ ხანდახან. ალბათ კიდეც გვიწერთ რაიმე საინტერესოს! განაგრძეთ, განაგრძეთ.

ღმერთმა ხეირი მისცეს. ასეთ კრიტიკოსზე რა მეთქმის! მართალია მაკრიტიკებს, უდიერადაც მიხსენიებს, მაგრამ არაფერს მახდევინებს, ხოლო ყველაზე ძნელი ასატანი ისაა, როცა ჩემს ხარჯზე არხეინად ცხოვრობენ, ჩემს ნაშრომს მიირთმევენ და მაინც მკიცხავენ და მაკრიტიკებენ.

3. ლოკია

ნან ზ. ნიჟარაძისა



— გამოზრდნდით, ბატონო ვარდენ. ხალხი დრამატურგს ითხოვს.

— არავითარ შემთხვევაში. ცოცხალი თავით არ დავნებდები.



— რა ზედნიერი ხალხი ხართ, მაღაზიის გახვევებზე ახალ თქვენ გაცემით.

ქარაგაზული ნაკვეთი

მეგობრის ცოლი წუწუნებდა, ჩემი ქვარის მთელი დღის ნაშრომს წყალში ყრისო. პრორტუკიის მქონე აბიჟურეტი მითმეტიკის უმაგალითოდ ახარებდა. კურსდამთავრებულს ისე უპაროდა სამუშაოზე მოწყობა, აღარ იცოდა, რა ეწია. ხასიათები მძიმე ჰქონდა, სამაგიეროდ ქცევით იყო მსუბუქი. რევიზორის უპირინციპოს ეხსანდნენ, მაგრამ მუდამ თავისი გაქონდა. გენოსობიდან სისულელემდე ერთი ნაბიჯიაო! — გაასხენდა ერთ კაცს და ნაბიჯი უკან ვაღაღდა.

მონღოლი

„მუამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო... მარალაც რომ კვიან კაცს უფიქვანს, ამიტომაც არც ზოგაის მიღწეის ლეგენდა მიწინა ფუნტბალი და არც ის ამბავი, რომელსაც ამას წინათ ჩემმა მეგობარმა ნიამბო. ცნობისათვის: ჩემი მეგობარი მაღაზიის დირექტორია, სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს მის ნაამბობს: — უნდა მესაუბრა და სასაიდუმლო შევიდო, ის-ის იყო კბილი დავაჭირე სისისს, რომ მან განწირულივით იწილა „არა და არა, ვერაფრით მოიგებს ჩემს გულს მზარეულო, ხომ მიიწი ვერ მომიხარხა. გინა დანა-ჩანგავლი ვარ, თავი რომ მუდამ მოქონილი ატეოთ“. გაოცებისაგან თვალები მუზღუე ამივარდა. ახლა რვა ნომერმა ღვიწმომ წამოიწყეთ: „მე ხომ სულ აბუხად ამივდეს, მუდამ რალაც ნომერს მსიკეთებენო“. — რადგან ჩვენი ენა ვაიფე, მოიღ და ჩვენი საჩივარი მოისმინეთ, — თავისი ღუბა გამოაჩინა თევზმა. — ისეთი ფასს მიღებენ ოფიციანტები, — დაიწყო ბოლოკმა, — რომ, ზედათ, სირცხვილისაგან როგორ ვწითლდები. — მე კი, — ჩაერია კატელტი, — მუდამ დამწვარი ვარ ჰურის ცოდვით, რადგან ჩემს მაგიერად სულ ეგ იხრავებო. ახლა მე დავუწვევ შეითავებებს მიცემა: — კი-მაგრამ, ძვირფასებო, ეს ღული რალამ გაამწვარა ასე! —

თრი დიოსტატი

ერთი მეზობელი მეცადა. ლაპარაკის საღერ-ღელს რომ აუღებოდა. მოვიდოდა, მოხსნიდა გულის პირს და კიდეც კარგი, რომ ოჯახში ღლიადა ვიყავით. ჯერ მე ვესმინდი. მერე ჩემი ძმა, მერე მეორე ძმა. მერე ჩემი და. მერე მეორე, ბოლოს ისევე მე და მიული ჩვენი ოჯახი. მისთვის სულ ერთი იყო, ერთი უსმენდა, მეორე, თუ ყველა ერთად. ერთი აშხავს ცეცხლში, მაგრამ ისე ოსტატურად, რომ, თუმცა თაღიდან ბოლომდე არც ერთს არ მოგვინ-მინა, მაინც ყველა იგებდა რისი თქმაც სურდა. ამას წინათ ერთი რომანი თავში წავციოთებ და ვთქვი ბოლოში რა ეწერა. ჩემმა მეგობარმა ბოლო წაიკითხა და თქვა თავში რა ეწერა. მეორე მეგობარმა მუაგული გადაფურცლა და თქვა რა უნდა წერებოდა თავსა და ბოლოში. ისე ოსტატურადაა დაწერილი, რომ თავიდან ბოლომდე არც ერთს არ წაუკითხავ და მაინც ყველამ კველავითი გავიგეთ. ასე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში გავიყენე ორი დიოსტატი.



— რას შევბი, კაცო, ერთი თვის წინათ გამომავალი წერილი ახლა მომიტანე? — ნუ გეშინია, სანკარო აჩაფრებ არ წერია შენ.

— კი, — ამიოხობა ღომინთამა, — კაცი როგორ არ გამწვარდება, როცა ისეა დღეს აყრინა, რომ მუდამ გაჯაფულია დილიდან შუაღამემდე? აბა, ხაშიფი უსინდისო კი არაა, ალიონზე რომ გამოსცხვდებოდა და მერე კაცი შევიღმა არ იცის მავსის გზა და კვალი. — რალც ჩასისაც ვერ გრედავ, სად არის? შედგლოდ ხომ არაა? — ვიკითხე მე. — სწორი ზრბანებია! — წამობახეს აქეთ-იქინად. — გაცივებულსა და ვერ გვახლათო. გადაწვევით ჩემს მღაზიაში წაესულავი და ახლა იქაური საჩივარიც მომესმინა. მაღაზიაში შესვლისთანავე წალის პატარა ნაწერი მომივარდა და გავტელისებულმა დამიწყო ლაპარაკი: — რატომ არ არის თქვენთან მატერიკი, თქვენ უფლებულყოფილ მატერიკის პირველადობასო. პასუხი არ გამიცია, რადგან დანაშაუვად ვივარქმეი თავი. — რატომ უყრადღესა არ აქცევი თქვენს საქონელს? — განაგრძო მან, — აიღეთ თუნდაც ფეხსაცმელი, ხსარებისას ისე ყუიჩაღდებინა, რომ ცხვირებს მალა სწვენ, მაგრამ, იცოცხლო, ძვირად უჯგუზებო ეს სმეცითეო, მიღე ცტავი სძირებთ და პირდაღებულ რჩებინა და, აბა, რა ვასკვირია, რომ ამის წყნებდღერ კალწობი სიბრახისაგან შუაზე გასკენდნენ. ახლა აიღეთ ტრიკოტივი, რი-

გორ ივიებო ვაყიდვისას, რეზინებისაგან მაინც აიღოს მაგალითი, სულაც რომ არ იყუნებინა და პირდაღებულად არაინ. ფეხსაცმლის თასებებსა და შუა ტანსაცმლის ფოლგებებს ხომ ნუ ეკითხებით, ჩაიცვას თუ არა იმამმარებელი, ისეთ არასერიოზულობას იჩენენ, რომ სულ სიცილით წყდებინან: ულრისად უტირავთ თავი თოჯინებისაც, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ინტერვიანა. ასეთი საქციელი მით ასაკს სრულებით არ შეესაბამება. შარვლის ტრტებმა ხომ სულ დაკარგეს შორიღებმა, ერთი დღის ხმარების შემდეგ უკვე იხრებინან... ქალის შტაბელის გაბებს ამ შუანსკნულ სიტყვებზე ფერი ეცვლიათ. ცოტა არ იყოს, მეც ვაგებარზილ და პირში მივახალე: — რა არის, ბოლოს და ბოლოს, სხვას რომ არ აცლით ლაპარაკს. ხომ ხედავთ მამაკაცის პერანგები ხმას რომ არ იღებენ. ეგენი თბილისის არტლებში ისე შევტერს, რომ მით ძვირს ვერ დააცდინებოთ, — მიპასუხა შალის ნეტრმა. კიდევ მეტი ვილაპარაკეთ და როცა საშუაო საათებში დამთავრდა, სახლისკენ წამოვიღო. იმ დღეს მთავარიანი ღამე იყო და ქართული კონიაკი ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, — დაასრულა ჩემმა მეგობარმა ამბის თხრობა. გ. პაპაიანიძე

პაპ აბგავი თბილისში „ბავშვთა სასყაროოსა“

ერთხელ ვიპოე მიღამონი ქალისათვის თბილისში. ვიპოე და ვიპოე, რამე თუ არა ვიგერძობოდა დღესას. უცნობოდ ჩემდა დღემ აიღვირა ერთსა. სადაც ვიხილე ყურათა და ახალშობილი მაღაზია, სახელდებითა „ბავშვთა სასყაროო“. მაღაზიისა შინა მუსულა მწერის, რამე თუ დანახარები ვიხილასა აღსრულებულ ვყო, ვიყვირე სამისი ფეხსა ყრმათი. გარნა თუღლი ჩემში წარმტაცე ვიტრინებსა შიგან დანახულმან. შეველ მაღაზიასა შიგან და ენახე მუნ კრები. გამგებელს ეწეო მუშანი თვისინ. დანახას ჩემსა, გამგებელმან რქუა: „აბუ თუ ეს არს მომზარებელი ჩუენი. ვიწვიეთი კრებასა

და შინა და არა შემოტინილ სახლსა და თარას. გამგებელმან იწვირა იგი სიტყვაო და რქუა: გარნა როგორ ეგების ნათესავისა რჩენი ღამობი. ჩემი სიტყვი ეს არს, რომე რჩეი იგი დაცულ უნდა იყოს სუფიფიბი და არა მის წრებასა ზედა. მესამე არს, რომე, მე არა ვიცი ათორმეტრი ასაციანი ყრები, გინა ვეგი გინა ქალი, არს თუ არა ბავშვი, რომე თუ მაღაზიასა ჩემსა ფეხსამოსი არ აწოვების მათი. გამსრულდა ჩემი მიმოსულე კალქასა თბილისსა და შუშიქეც ვაღაბასა ჩემსა. გ. სილაგონიძე 5



— ბოლოს და ბოლოს, ეს რაღიო აღარ ამუშავდება? — რას ერჩია, ხომ თქვა შარუნა, უკანსკნულ ცნობებს გადმოვცემო!

ზოგადი კითხვები

ჩვენს და ჩვენს გამოცდებს

ამ მოთხრობის მთავარი გმირები ვიქნებით ჩვენ: მე, თენგიზი და ნიკო. მე მქვია სიმონა. მე ვარ დაბალი, თენგიზი — საშუალო და ნიკო — საშუალოზე მაღალი. ჩვენ გვყავდა ერთი ნაცნობი კაცი, რომელსაც ავიყვანებდით. იმ კაცს ახლა ხმას არ ვცემთ. მაგრამ, სანამ ჩვენს შორის შავი კატა გაიბრუნდა, გვითხრა, რომ ჩვენი დახასიათება ერთი სიტყვით შეიძლება: ეს სიტყვა არის «გრძელი»: მე მაქვს გრძელი ცხვირი, თენგიზს ენა აქვს გრძელი, ნიკოს არც ერთი და არც მეორე — იგი უცხვირიპირთა, მაგრამ მთლიანად არის გრძელი. ჩვენ, რასაკვირველია, პროტესტი განვაცხადეთ, გვენდოდა ღამაზად მიგვეტყუება, მაგრამ მოვერიდეთ, რადგან ავიყვანებდით და ის.

მე, თენგიზი და ნიკო ერთ ინსტიტუტში და ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობთ. ახლა მესამე კურსზე ვართ, როცა მეხუთეზე ვიქნებით, უმაღლესს დავამთავრებთ და დიპლომს ავიღებთ, რა გამოვალთ, ვერ ვეტყვით. სასწავლებელში რომ მოვიდოდით, მამაჩემმა ასე დამაბარა, ისწავლე, შეილო, იქნებ კაცი გამოხვიდეთ.

უმაღლესში სწავლა არაა ადვილი, განსაკუთრებით ჩამოსულენებს უჭირთ, მათ შობილებს კი უფრო მეტად. სტიპენდია დიდი შეღავათია, მე კი ჯერჯერობით არ გაიმართლა. თენგიზი და ნიკო ადგილობრივი ხალხია, მაგრამ სტიპენდიას მაინც ღებულობენ. მე ორიანებს ვღებულობ, თუმცა ახლა გამოვსწორდი. ჩვენმა პროფკომის თავმჯდომარემ მითხრა, წესიერად თუ იქნები, ბოტანიკურ ხალხს ექსკურსიაზე წაიყვანო. მე სულ წესიერად ვიყავი, პროფკავშირმაც სიტყვა შეასრულა. ოღონდ გზაში ავტობუსი გაფუჭდა და უკან დაგვებრუნეს. მე ამაზე პროტესტი განვაცხადე. პროფკომის თავმჯდომარე შემპირდა, გაჩუმდი და ფეხბურთის ბილეთს მოგცემო. ინსტიტუტში რომ დავბრუნდით, აღმოჩნდა რომ ჩემი ბილეთი პროფესორ თუხარელს წაეღო. მეტს არაფერს შემპირებთან, მაგრამ მაინც გავუწმინდი.

ჩვენ თბილისში უცხოვრობთ, სანამ სტუდენტობას დავიწყებდი, მანამ მე რაიონში ვცხოვრობდი, ტრამვაი არ მქონდა ნახული და ოცდაათსანტიმეტრიანი შარვალი მეცვა.

ჩვენ უცხოლოები ვართ. მამაჩემს ძალიან უნდა, მე მყავდეს ცოლი და მას შვილიშვილი. მე მინდა მხოლოდ ფული, თენგიზს და ნიკოსაც ძალიან უნდათ ფული. ცოლის შერთვას ჩვენ ჯერ არ ვაპირებთ.

ახლა არის ზაფხული. ზაფხულში არის სიცხე და გაზოცდები. სამი გამოცდა უკვე ჩავაბარეთ. დაგვრჩა ერთი, რომელზედაც ხვალ უნდა გავიდეთ. როცა გამოცდებს მოვრჩებით, გადაწყვეტილი გვაქვს წავიდეთ ზღვაზე და იქ დავისვენოთ.

აი ყველაფერი ჩვენს შესახებ. ჩვენს ჯანმრთელობას ექიმები დარაჯობენ. მედიცინამ კარგა ხანია დაამტკიცა, რომ წამოწოლილი კითხვა მხედველობას აფუჭებს, მაგრამ ეს ჭეშმარიტება უმაღლესი გავიწყდება, როცა საინტერესო რამეს კითხულობ.

მე რომ მეექვსე კლასში ვიყავი, ბიბლიოთეკიდან «დეკამერონი» გამოვიტანე. თვალი არ დამიხუტავს, ერთ ღამეში გადავიკითხე. მერე მამაჩემმა მთხოვა, წიგნიწილში დამის გათენება მიჭირს, გამატანე მაგი წიგნი, იქნებ ცოტა მაინც შემეხილოსო. წაიღო და იმანაც ერთბაშად ჩააბუღებულა. მხედველობა არც მე გამაფუჭებია და არც მამაჩემს, მაგრამ შებღვერით კი მაინც შემიბღვირა, აი შე გაფუჭებულო, მე რომ შენხელა ვიყავი. «ქიქარას» ვკითხულობდი.

ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ახლა მასალათა გამძლეობას ვკითხულობ და საამისოდ არა ვარ განწყობილი ერთ გვერდს ჩავათავებ და მეორეზე თვალები მეღებება, ექიმის რჩევას ვუჯერებ და სქელტანიან წიგნს, რომელსაც ლექტორი მხოლოდ კონსპექტს უწოდებს, გვერდზე ვღებ.

მასალათა გამძლეობაში პროფესორი თუხარელი გვყავს. აი სწორედ ის პროფესორი, ჩემი ფეხბურთის ბილეთი რომ წაიღო. უფრო სწორედ, მე რომ მინდოდა მისი ბილეთის წაღება. ჩვენი ლექტორი ოქრო კაცია. საერთოდ პროფესორები იშვიათად შეგხვდებით ცუდი. მკაცრი მხოლოდ ახალგაზრდა ასპირანტები არიან. სულ დარბიან, ვილაცას ეჩხუბებიან, ეკამათებან. მერე ხარისხს მიიღებენ და დაწყნარდებიან.

მასალათა გამძლეობა რთული საგანია, მაგრამ თუ მოინდომებ. კარგ გამოცდელთან ყველაფერს ჩააბარებ. მე გამოცდელი კარგი მყავს, მაგრამ მონდომება მაკლია. დიან, ზარმაცი ვარ. აი ხვალ საგანს ვაბარებ და გამოცდაზე წასვლა მეზარება. არა, ცოტა მეშინია კიდევაც, მაგრამ ეს რა გასაკვირაა. ზოგიერთებს ისე უხარიათ გამოცდები, რომ მის მხოლოდინში ღამეებს ათენებენ. მე კი პირაქით მოშდის. ჩვეულებრივად დამე მძინავს, სესიების დროს კი დღისითაც მძინავს და დამითაც. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ დაღლილი ვარ და დასვენება მესაჭიროება.

აი ახლაც, თვალი თუ არ მოვახუტე, თავი დამისდესა ცოტას წავიძინებ, იმ სიმძიმეს, ტვირს რომ ვტყულებ, მოვტყუებ და მერე ცარიელი თავით ვიშვებინებ.

მე ვნახე სიზმარი. ვაგვიკვირდათ არა? სიზმრის ნახვა არ არის ტიპური. სიზმარს ახლა იშვიათად ნახულობენ. აბა გაიარეთ ლალიძის წყლები, ყური დაუტყდეთ რაზე ლაპარაკობენ.

— კაუჩუკები ვნახე, ხუთასი მანეთი ღირს.

— ან კიდევ:

— რა იყო გუშინ, რა თამაში ვნახეთ, გააზოროდნენ ჩვენები. თქვენ იტყვი, ისინი ახალგაზრდები არიან. კეთილი, მაშინ მოხუცებს მივკითხოთ. შევიდეთ რომელიმე ბაღში და პენსიონერების სკამზე ჩამოვსხდეთ.

— ბო, ხო, რა ქალი ვნახე, კაცი დავგერდი და იმისთანას ჯერ არ შევხვედრივარ!

ხომ გესმით რასაც ამბობენ! ახლა სიზმრის გარდა ყველაფერი შეიძლება ნახოთ. მე ნამდვილად ვნახე სიზმარი:

მოვიდა წარღვნა და ჩვენი ინსტიტუტი წყალმა წაიღო. ყველგან ზღვა ბობოქრობდა. მხოლოდ შუა ადგილას იყო პატარა კუნძული, რომელზედაც ვიდექით მე, საგამოცდო მაგიდა და სკამი. სკამზე იჯდა პროფესორი თუხარელი და პირიდან ცეცხლს ჰყრიდა.

— არ იცი საგანი, არა!

— ციცილი, ბატონო, მაგრამ დამავიწყდა.

— ორი, ორი!

— წყალში გადავვარდები, იცოდეთ.

— შენ რომ არ გადავარდე, მე დავაბრჩობ! — დაიყვირა პროფესორმა და ხელი მკრა.

— საგანი საფუძვლიანად არ მოგიზადებია.

— რა ვქნა, პატივცემულო, თავი შევკალი. ნუ დამღუპავთ ახალგაზრდა კაცს.

ეს უკვე სიზმარი არ არის. სიზმარი გუშინ ვნახე. ეს ცხადში მოხდა.

პროფესორმა თუხარელმა ჩემი მატრიკული გადაშალა.

— რა ვქნათ, მოიფიქრებ თუ...

— ორივემ მოვიფიქროთ, ბატონო, ძალიან გთხოვთ ნუ ჩამიშხამებთ ზაფხულის დღეებს. ზღვაზე მინდა წასვლა, მაგრამ თქვენთან თუ დავიწვი, ხალხს ვერ დავენახებები.

— მაშ ზღვაზე მიდიხარ? სად, რომელ სანატორიუმში?

— «მერცხალში».

— აა, ვიცი, მაგ სანატორიუმის დირექტორის შვილი ჩემი სტუდენტია... რა ქენი, მოიფიქრე ზარმაცობ ძალიან. გამოცდაზე გასვლის წინ ერთხელ კიდევ უნდა გადაგებდე. მაგალითად, გუშინ რა გააკეთე?

— გუშინ სიზმარი ვნახე, რომელიც დღეს მიხდება.

— სიზმარი? საინტერესოა, აბა ერთი მითხარი.

მეც მოვუყვი - როგორ გადამაგდო წყალში. პროფესორს აღვღებება შევატყვი. სათვალე მოიხსნა.

— მაშ ზღვასთან ვიდექი და ცეცხლი ამომდიოდა პირიდან?

— ეს სიზმარში, ბატონო, ცხადში თავილი ამოგდით.

— შენ ეს მითხარი, ჩვენს გარდა კიდევ თუ იყო ვინმე?

— მაინც ვინ, პატივცემულო!

— ვთქვამთ ზავში... ზავში კი არა, ქალიშვილი. რალაც სხვანაირად შეტრიალდა საქმე. გული მეუბნება ყველაფერზე «პო» ვუთხრა.

— გამახსენდა, იყო, როგორ არა, ჩოლკა ეკეთა. თქვენ დაუხვირეთ, «შორს ჩემგან», და ისიც ზღვაში ჩაიძირა.

— მაშ ასე იყო?.. უცნაურია, უცნაური...

— მეც ძალიან მიკვირს.

პროფესორი აწრიალდა.

— სად გაქრა. მგონი, აქ დავდე სადღაც.

— მატრიკული?

— არა, სათვალე, თუმცა მატრიკულიც მოიტა. იცოდე ზღვის ხათრით გაპატოებ!

— სტუდენტების მამა ხართ, ბატონო, ნეტავ იმდენი მაცოცხლა, თქვენი ამავი დავაფასო!

დაბა თეთრწყაროს მცხოვრებლები წყლის ნაკლებობას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ განიცდიან, რომ კომუნალურ განყოფილებას ონკანების დადგმა გაძნელებიათ, თორემ თეთრწყაროში წყაროს ნაკლებობა სად თქმულა.

იმასაც კი ამბობენ, რომ რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლებს გულამაჩუყებელი მზრუნველობა გამოუჩენიათ და განკარგულება გაუციათ, სასწრაფოდ მოხსენით ონკანი სახბანკთან და ჩვენი თავმჯდომარის ეზოს მახლობლად დადგითო. ბრძანებაზე მელანი არც კი იყო შემწრალი, რომ ნათქვამი სისრულეში მოიყვანეს. მისაბაძი ოპერატიულობა!

თუმცა იმასაც კი ამბობენ, რომ წყალი თავმჯდომარის ეზოსთან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით წინათაც ყოფილა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯსაც ხომ გადადგმა უნდა, დაე ისევ სახბანკთან ახლომახლო მცხოვრებლებმა და თვით სახბანკის მუშაკებმა კეთილ ინებონ და ცოტა გზა დაიგრძელონ წყლის მოსატანად, მაგათი არ მიკვირს, უდაბნოში თურმე სულაც არ ყოფილა წყალი. მით უმეტეს, კომუნალური განყოფილების გამგეს განუცხადებია, რომ სახბანკთან არსებული ონკანი ისევ აღსდგებაო რა ვუყოთ მერე, რომ მას შემდეგ თვეები გავიდა, სამაგიეროდ არსში (თქმა მეუხერხულდება რა არხიცაა) თურმე იმდენი წყალი მოსჩქეტეს, რომ მთელ თეთრწყაროს ახლო მდებარე სოფლებსაც კი ეყოფათ, და რომ მოსახლეობა ამ წყლით სარგებლობსო. მერე რა, რომ წყალი ქუჩყიანია, წყურვილი ისეთი რამეა, რომ კაცს ნაგუბარი წვიმის წყალს დააღვინებს. ჰოდა ამის შემდეგ მოდი და გაამტყუბე კომუნალური განყოფილების მუშაკები და მათი გამგე.

.. ამ ათი წლის წინ მარნეულის რაისაბჭოს კულტურის განყოფილებამ მარნეულისავე სარემონტო კანტორას სთხო-


ვა—ერთი ისეთი კულტურული შენობა ამიწუნე, რომ კულტურის სახლისათვის გამოდგესო. მარნეულელებიც შენებას მაშინვე შეუდგნენ, ოღონდ არავინ იცის ისეთი რა შეუდგა მშენებლებს, რომ შენება მხოლოდ ათი წლის შემდეგ მოათავეს. მოგეხსენებათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. ახალაშენებული სახლის შემხედვარე მარნეულელებმა ეს ანდაზა პირუკუ შეატრიალეს და ასე გამოსთქვავენ—სჯობდა არასდროს, ვიდრე გვიანო. ასე გამოსთქვავენ, რადგან მოსთქვავენ—გაჯი თავზე გვეყრება, წვი-

მა თავზე დაგვდის, ღმერთო, მშრალი ამინდი დაიჭრეო.

ღმერთი კი იცინოდა, დაუშვა წვიმა და, რაკი მშენებლებს შენობისათვის წყალსაწრეტი მიღების გაკეთება „დავიწყებოდათ“, ამიტომ წვიმა გაიჭონა კედლებში, გაატანა ბათქაშში, დასველა და გააფუჭა 26000 ეგზემპლარი წიგნი, რომელიც კულტურის სახლის ბიბლიოთეკაში ეწყო.

ერთი რამ კი კარგად მოუფიქრებიათ მშენებლებს: წვიმის წყალი ოთახში არ დგება, თავისუფლად გადის სპეციალურად საამისოდ დაგებულ პირდაღებულ იატაკში.

ნახ. დ. ერისთავისა



521
13/11

— არ გრცხვენია, ახალგაზრდავ, მოხუცს ადგილს რომ არ უთმობ?
— როგორ არა, ძალიან გრცხვენია. ბატონო.

ახლა იმასაც ამბობენ, რომ ამა წლის 8 სექტემბერს ბიბლიოთეკის გამგეს ორი კაცი ხლებია,—კედლებში ელექტროსადენები უნდა დავატანოთო. ისევ ჩამოიყარა გაჯი, ამტვერდა ბიბლიოთეკა, მაგრამ მშენებელთა წინდახედულებამ აქაც იმარჯვა: გაჯი პირდაღებულ იატაკში იყრება და მის ქვეშ ცარიელ არეს ავსებს, მტვერი კი გადის... ალბათ იტყვიან, ღია ფანჯრებიდანო. არა, უსწორმასწორო კარის ნაპრალებში გაედინება და ამგვარი ხელოვნური ვენტილაციის გამო წიგნების მხოლოდ 50% იმტვერება. მერე თუ ისევ მოვა წვიმა, გაჯის მტვერი ტალახად აიზილება და მალე მარნეულელებს მობათქაშებული წიგნები ექნებათ.

ახლა კიდევ ამბობენ, რომ მშენებლებს წყალსაწრეტი მიღების გარდა კედლებში კვამლსადენების დატანებაც დავიწყებიათ. და როცა ბიბლიოთეკაში „უესტის ფენიც“ ახრჩოლდება, მაშინ ნახეთ როგორ კულტურულ მომსახურებასაც გაუწევს მარნეულის კულტურის სახლის ბიბლიოთეკა მოსახლეობას და მაშინ ნახეთ ამ ბიბლიოთეკის მობათქაშებული და ბოლში გამოყვანილი წიგნები!

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ქელიძე.


საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 23. ხელმოწ. დასაბ. 19/XI-1958 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკვ. № 1246. უფ. 07801. ტირ. 40.000.

იეროგლიფური რიუკი

ყველა, ვინც დღიურებს წერს, ცდილობს იგი დამალული იქონიოს, რადგან დღიურში ერთობ გულახდილია და არ სურს საიდუმლოება სხვას გაანდოს. დიდი ხანია შევამჩნიე ჩემს ვაჟს დღიურების წერა, ისიც შევამჩნიე, რომ მაინცდამაინც არ გვიმაღავდა. ერთხელ გადავფურცლე რვეული და რა დავიინახე: იგი სავეს იყო რაღაც ნახატებით. ვერაფერი ვერ გავიგე. აი ისინიც:



ნახ. თ. შირვაშვილი



აქ წყდებოდა ეს იეროგლიფური დღიური. ბევრი ვეწვალე, მაგრამ საიდუმლო ვერ ამოვხსენი. ბოლოს დღიური წავუღე ერთ ჩემს მეგობარს, რომელიც იეროგლიფური დამწერლობის დიდ სპეციალისტად ითვლება: მან ბევრი იცინა და დღიური ასე წამიკითხა:

30/XII—1. საზამთრო 2. არდადეგებისათვის ვემზადები 3. ფული 4. ვერ ვიშოვე 5. მაგრამ 6. შეიძლება ვიშოვო 7. მამაჩემი 8. მხეცია 9. შეჯდა ვირზე და გაიძახის 10. არ მეყოფა რამდენიც გავუშვიო? 11. მე მაგისი ლაპარაკი ფეხებზე მკიდია 12. გადამწყვეტი ხმა 13. დელაჩემს ეკუთვნის 14. მაგან ჯობია ხმა ჩაიწვიტოს.

5/I.—15. გამოცდა დავამთავრე 16. ბაკურიანში ვარ 17. ერთი სული მაქვს როდის დამთავრდება და გამოვიქცევი 18. გამოცდა რომ გამახსენდება 19. გული მისკდება 20. თვალზე რული 21. არ მეკარება. 22. თბილისში ვარ, მაგრამ კაციშვილი ვერ მხედავს 23. არც არავის ვღებულობ, არც გარეთ გამოვდივარ 24. რომ მნახოთ, გული მოგიკვდებათ. 25. ორმოცი გრადუსი მაქვს 26. გათავდა, აღარა მაქვს 27. სიცხე.

30/I—28. მამაჩემი ამლაშებს 29. ან სულ დაკავებულია, ან ხმას არ იღებს 30. ხან შეახურებს, ხან შეაცივებს 31. ამ ბოლო დროს ჩემი სარჩენი გახდა 32. მე კი არ ვშოვობ 33. სხვას რა უნდა ვუშველო, მე თვითონ მისაშველებელი ვარ.

34. ოტელო 35. მამალაძე.